



„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“


კანონის

პროექტის საჯარო განხილვა
მონაწილეთა შეფასების ანგარიში
1 აგვისტო, ზუგდიდი

1 აგვისტოს, ზუგდიდში, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტისა და NDI-ის მხარდაჭერით „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა. საჯარო განხილვის დასრულების შემდეგ, მონაწილეებმა შეფასების კითხვარები შეავსეს, რომელიც მოიცავდა 4 დახურულ და 2 ღია კითხვას. საერთო ჯამში, კითხვარი შეავსო 61-მა მონაწილემ. შედეგები იხილეთ ქვემოთ.


პირველ კითხვაზე, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო განხილვის ზოგად შეფასებას, პასუხები პოზიტიური იყო. მონაწილეთა 26%-მა შეხვედრა შეაფასა როგორც „ძალიან კარგი“, ხოლო 67%-მა როგორც „კარგი“ (იხილეთ გრაფა N1).

გრაფა N1




მეორე დახურულ შეკითხვაზე, რომელიც ეხებოდა შეხვედრის ფორმატს, 26%-მა (16) ფორმატი შეაფასა როგორც „ძალიან კარგი“, ხოლო 70%-მა (43) როგორც „კარგი“ (იხილეთ გრაფა N2).

გრაფა N2




მესამე შეკითხვაზე, ჰქონდათ თუ არა მონაწილეებს შესაძლებლობა გაცნობოდნენ კანონის პროექტს შეხვედრამდე, 48%-მა (29) უპასუხა „დიახ“, 43%-მა (26) „არა“, ხოლო 9%-მა (6) უარი განაცხადა პასუხზე (იხილეთ გრაფა N3).

გრაფა N3



ბოლო დახურულ შეკითხვაზე, რომლის მიზანს წარმოადგენდა პრეზენტაციის შეფასება, 26%-მა (16) შეაფასა როგორც „ძალიან კარგი“, 64%-მა (39) როგორც „კარგი“, ხოლო 10%-მა (6) როგორც „დამაკმაყოფილებელი“ (იხილეთ გრაფა N4).

გრაფა N4



როგორც ზემოთ აღინიშნა, კითხვარი შეიცავდა 2 ღია კითხვას:

- რა უნდა იყოს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი მომდევნო სამი წლის განმავლობაში (ჩამოთვალეთ მაქსიმუმ 3)
- სხვა კომენტარები საკითხზე (მხოლოდ ერთმა მონაწილემ უპასუხა აღნიშნულ კითხვას):
 - აუცილებელი რეგულაციებისა დანერგვა და ზედამხედველობის მექანიზმების დანერგვა კანონის აღსრულების უზრუნველსაყოფად;
 - ახალი სახელმწიფო პოლიტიკა სპორტის სფეროში;
 - ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის უფლებებისა და მოვალეობების მკაფიო და გასაგები გადანაწილება.

მონაწილეებმა პრიორიტეტებად დაასახელეს შემდეგი საკითხები:

- შეხვედრაზე გამოთქმული იდეებისა და შეთავაზებების კანონის პროექტში გათვალისწინება
- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (13)
- სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისთვის გამოყოფილი დროის გაზრდა
- სპორტული ინფრასტრუქტურა (23)
- მწვრთნელის სტატუსის გათანაბრება მასწავლებლის სტატუსთან (2)
- ახალგაზრდული საფეხურით ლიგის მხარდაჭერა/განვითარება
- პროფესიონალური ფეხბურთი (7)
- დაფინანსების პრობლემების მოგვარება (6)
- სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სპორტული აქტივობების ხელმისაწვდომობა (4)
- ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ხარისხის გაუმჯობესება სკოლებში
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა/მოსახლეობის ინფორმირება

- სპორტული განათლებისა და მეცნიერების სფეროს განვითარება
- საჭირო ცვლილებების შეტანა არსებულ კანონმდებლობაში
- ხელფასების გაზრდა (12)
- სკოლის დამთავრების ერთ-ერთ წინაპირობად ფიზიკური აღზრდის ნორმატივების ჩაბარების დანესება
- პროფესიონალი მწვრთნელების მოზიდვა სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩასატარებლად
- რაგბი (3)
- ზამთრის სპორტის სახეობების განვითარება
- მწვრთნელებისთვის ტრენინგების ჩატარება/კვალიფიკაციის ამაღლება (6)
- შშმ პირებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, რათა მოხდეს მათი ჩართვა სპორტულ აქტივობებში
- სპორტის სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ჩამოყალიბება
- მაღალი სტანდარტების მქონე ტრენინგ ცენტრების შექმნა მწვრთნელებისათვის
- ხელბურთი
- კარატე
- ჭიდაობა
- სპორტის შესახებ ახალი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება